სამცხე-ჯავახეთი, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთში არსებული სიტუაციის კვლევა, ანალიზი და რეაბილიტაცია

სტუდენტი: ჟანა თაბაგარი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე, არქიტექტორის სამაგისტრო ხარისხის მინიჭების მოთხოვნით

არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მოწვეული პროფესორი,
ალექსანდრე რამიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

სამცხე-ჯავახეთი _

მხარე სამხრეთ საქართველოში
ადმინისტრაციული ცენტრია ახალციხე
353 დასახლებული პუნქტია მათ შორის,
- 6 ქალაქი (ახალციხე ახალქალაქი, ბორჯომი, ადიგენი, ნინოწმინდა).
- 7 დაბა: ბაკურიანი, ბაკურიანს ანდეზიტი, წაღვერი, ახალდაბა,ადიგენი, აბასთუმანი, ასპინძა.
- 258 სოფელია.





აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია არქიტექტურის მიმართულებით არსებული კვლევითი პროცესები. თავდაპირველად საპროექტო ტერიტორიის არჩევამდე ჩატარებულ მეთოდებზე და მათ ანალიზზეა საუბარი. შემდეგ კი მათი ანალიზის საფუძველზე ტერიტორიის აღწერა ხდება. ბოლოს კი ამ ყველაფრის შეჯამებით, საბოლოოდ განვმარტავ იმას თუ რა პროცესების შემუშავებაა საჭირო, რომ მოხდეს არსებული სიტუაციის განახლება და ყველა იმ ღირებულების წინა პლანზე გადმონაცვლება, რაც თვალსაჩინო გახადა კვლევითმა პროცესებმა.

შესავალი

თავდაპირველად მოვიძიე ადგილი, რომელიც შემდგომ გახდებოდა ჩემი საპროექტო ობიექტი. პირველ რიგში მივაკვლიე დასახლებულ ტერიტორიას, რომელმაც დამაინტერესა თავისი განსხვავებული არქიტექტურული და ლანდშაფტური ღირებულებებით, ან თუნდაც სოციალური გარემო-პირობებით. აქცენტი გავაკეთე ქვეყნის სხვადასხვა მხარეებზე, რადგან ვფიქრობ დედაქალაქი საკმაოდ დამთრგუნველი სივრცეა თავისი დაუსრულებელი პრობლემებით და საჭიროებებით.

სასიამოვნოა იმის შეგრძნება რომ შესაძლებელია თავისუფალი იყო არჩევანში, არჩევანი კი სწორედ მიმართული იყო იმისკენ, რომ მენახა ადგილი, სოფელი ან ქალაქგარეთ ნებისმიერი სახის დასახლებული ტერიტორია, სადაც ადამიანი სრულიად აქტიურად, ქალაქისგან მოშორებით ორგანულად თანაცხოვრობდა გარემო-პირობებთან.

ჩვენს ქვეყანაში ბევრი ასეთი ადგილია და მეც რათქმაუნდა ავირჩიე ერთ-ერთი, ეს არის სოფელი სამცხე ჯავახეთში, ჭობარეთი, რომელიც მართლაც